



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორიერი (Morier) ჯეიმზ ჯუსტინიან

მორიერი (Morier) ჯეიმზ ჯუსტინიან (დაახლ. 1780, სმირნა, თურქეთი, - 23. III. 1849, ბრაიტონი, დიდი ბრიტანეთი), ინგლისელი დიპლომატი, მოგზაური, მწერალი. 1807 ირანში სერ ჰარფორდ ჯონსის საელჩოს მდივანი იყო; 1814-15 ასრულებდა ინგლ. ელჩის მოვალეობას თეირანში; 1815 დასასრულს კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. 1817 სამსახურიდან გადადგა და ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო. მ., როგორც ინგლისის ინტერესების დამცველი, თვალყურს ადევნებდა რუსეთის პოლიტიკას სამხრ. კავკასიაში და იქ მომხდარ ამბებს (მაგ., 1811-12 აჯანყება კახეთში). მ-ის „მოგზაურობა“ ძვირფასი წყაროა XIX ს. კავკასიის ისტორიისათვის, რამდენადაც ბევრ ცნობას გვანვდის ამ მხარის შესახებ. მის მეორე გამოცემას დართული აქვს 2 რუკა და ავტორის ჩანახატების მიხედვით გაკეთებული გრავიურები.

თბზ.: A second Journey through Persia, Armenia and Asia Minor to Constantinople between the years 1810 and 1816...L., 1818; ჰაჯი ბაბა ისფაჰანელის თავგადასავალი, ინგლ. თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნ. ნონიაშვილმა, თბ., 1992.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники по Кавказу, 1800-1830 гг., Тб., 1946.
